# საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/47 „25“ აპრილი 2023წ.

# განკარგულება

**„ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატმა მოსამართლე გიორგი ლობჟანიძემ 2023 წლის 30 მარტს განცხადებით მიმართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და აცნობა, რომ სამოსამართლო უფლებამოსილების განხორციელების ადგილზე - ქ. ბათუმში, არ აქვს საცხოვრებელი ბინა. აღნიშნულის გათვალისწინებით:

1. „ზოგიერთი მოსამართლისათვის საცხოვრებელი ბინის დაქირავებისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2020 წლის 13 მარტის №1/26 განკარგულების პირველ მუხლში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მაგისტრატ მოსამართლე გიორგი ლობჟანიძეს;“;

ბ) მე-13 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ამოღებულ იქნეს.

2. ეს განკარგულება ამოქმედდეს მიღებისთანავე და გავრცელდეს 2023 წლის 1 აპრილიდან წამოშობილ ურთიერთობებზე.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივანი